ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ 2020 წელს

გაწეული მუშაობის ანგარიში

გამარჯობა, მოგესალმებით ბატონო თავმჯდომარე, კოლეგებო და ძვირფასო ამომრჩევლებო, მივესალმები ოზურგეთს.

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

საკრებულოს წევრის სახელი გვარი: ვასილ ჩიგოგიძე

თანამდებობის დასახელება: საკრებულოს წევრი

კომისიის დასახელება:

1. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა;
2. სამანდატო საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიები.

ფრაქციის დასახელება: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო";

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით): პროპორციული (ქართული ოცნებიდან);

საანგარიშო პერიოდი: 01.10.2019 წ. – 31.10.2020 წ.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე): რიგითი;

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1.სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 20

ა) საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 13

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 16 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი -არა

ა) კომისიის სხდომებზე დასწრება 11 მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფი - არა

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 9

ა) ფრაქციის სხდომებზე დასწრება 5

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

1. სასიხარულოა რომ გათვალისწინებული იქნა ჩემი წინადადება და **„ექვთიმეობა“** ყოველწლიურად ჩატარდება 17 ოქტომბერს, წმინდა ექვთიმეს წმინდანად შერაცხვის დღეს და იგი მიიღებს სამეცნიერო კონფერენციის მასშტაბურ სახეს.
2. ასევე გათვალისწინებული იქნა ჩემი წინადადება **„ალეგრობა-ოზურგეთობის“** ჩატარების ტრადიციის აღდგენის თაობაზე, რომელიც ყოველი წლის ოქტომბრის თვის ბოლო შაბათ-კვირას ჩატარდება და დაიბრუნებს ნამდვილ ისტორიულ სახეს თავისი - „ჩოხა-ახალუხის“ პოდიუმითა და რაიონის ყველა სოფლის ტრადიციული მონაწილეობით.
3. მადლიერებით აღვნიშნავ, რომ საკრებულომ გათვალისწინა ჩემი წინადადება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლების (ქანდაკების, მემორიალური დაფისა და სახელობითი ვარსკვლავების) განთავსების წესის შესახებ.**

გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ მიუხედავად ჩემი რამდენიმე მცდელობისა, მოგეხსენებათ, ოზურგეთი **„ფოლკლორის ქალაქია“**, ჯერ ჯერობით ვერ მოხერხდა პრიორიტეტების განსაზღვრა, ვერ გადაწყდა ერთი **აკადემიური ფოლკლორული ანსამბლის** შექმნის საკითხი (სიმღერა და ცეკვა), როგორც უფროსების, ასევე ბავშვთათვის.

ასევე, იმედს გამოვთქვამ, უახლოეს პერიოდში მოხდება თეატრის წინ მოედნის **რეკონსტრუქცია,** დაიდგმება **სარეკლამო ეკრანი** და შეზღუდვების მოხსნისთანავე, თეატრის რეაბილიტირებული შენობის გახსნასთან დაკავშირებით, მისთვის **„თეატრალური მოედნის“** სახელის მინიჭება.

იმედია დადებითად გადაწყდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **სააფიშე სტენდების** (თეატრის, ფეხბურთის, რაგბის...) საკითხი და ისინი განთავსდება მგზავრთა მოსაცდელ ჯიხურებზში, რაც ხელს შეუწყობს ფრიად საჭირო სარეკლამო-საინფორმაციო საკითხის მოგვარებას.

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა------- დადგენილება,------ განკარგულება

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება ;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისათვის გომისმთის სახელის მინიჭების შესახებ.
გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ
6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა-------არ არის

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 45 და შეხვედრებზე მონაწილე

მოქალაქეთა რაოდენობა 63

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურას
9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მოქალაეთა დასმული საკითხების უმეტესობა გადაგზავნილი იქნა მერთან შემდგომი რეაგირებისათვის., ხოლო რაც ჩემს კომპეტენციას განეკუთვნებოდა დაკმაყოფილდა.

10. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა კულტურული ღონისძიების მოწყობა-ჩატარებაში (პადემიიდან გამომდინარე, მათი რიცხვი ცოტა იყო.)
ჩემი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, მოგახსენებთ რამდენიმე სასიხარულო, საინტერესო ინფორმაციას:

1. დასრულდა ოთხწლიანი მოლოდინი და ფონდის „ქართუ" მხარდაჭერით მივიღეთ **ოზურგეთის თეატრის რეაბილიტირებული, გაბრწყინებული შენობა,** რომლის გარედან ხილვაც კი სასიამოვნოა. ამას ემატება ორი ძირითადი, დიდი და მცირე სცენა და რამდენიმე სათეატრო სივრცე. თავისი გარეგნული სახით, ინტერიერით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და თამამად ვაცხადებ, შემოქმედებითი ენერგიით, ჩვენი პატარა ქალაქის სახელმწიფო თეატრი ევროპული დონის თეატრი გახლავთ.
2. გარდა ამისა, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით თეატრში ხორციელდება **რადიოთეატრის პროექტი „გეყურება?!"**, რაც ნიშნავს, რომ ამოქმედდება საქართველოში პირველი

რადიოთეატრი, თავისი სტუდიით, მოწესრიგებული სამუშაო გარემოთი და შესაბამისი, სრულყოფილი აპარატურით, აუდიო და ვიდეო ჩამწერებით, მათ შორის სამი კამერით, სამონტაჟო მაგიდით და სხვა. ტენდერები დასრულებულია, სამუშაოები დაწყებულია.

ეს აჩენს უზარმაზარ პერსპექტივას, უნიკალურ შესაძლებლობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, გურიის მხარის ადმინისტრაციის სურვილისა და თანადგომის შემთხვევაში, **გურიაში გაჩნდეს რადიო „ოზურგეთი", რომლის ფაქტობრივი ბაზა არის თეატრში.**

3. ასევე, სიამაყით და სიხარულით მოგახსენებთ, რომ ჩემს მიერ 6 ქვეყანასთან ერთად დაფუძნდა **„ევრაზიის თეატრებისა და ფესტივალების ასოციაცია"**, რომლის ცენტრალური ოფისი არის თურქეთში და აერთიანებს 21 ქვეყანას, მათ შორის საქართველო, უკრაინა, თურქეთი, იტალია, საბერძნეთი, პორტუგალია და სხვა. ამჟამად განიხილება გაწევრიანების მსურველი კიდევ 50 ქვეყნის თეატრების განაცხადი, ფაქტობრივად, მთელ ევრაზიას მოვიცავთ.
4. იმედია, წელს ღირსეულად ჩავატარებთ ნოდარ დუმბაძის სახელობის მესამე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს, თუ პანდემიამ საშუალება მოგვცა, ჩვეულებრივ, 5-15 ივლისს ან პანდემიის რეგულაციების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, ცოტა მოგვიანებით. ველოდებით დაახლოებით 21 **სახელმწიფოს წარმომადგენლობას.** ფესტივალში ქართულ თეატრებთან ერთად 10 **უცხოეთის თეატრალური დასი** მიიღებს მონაწილეობას. საერთაშორისო და ადგილობრივი დელეგაციების მიღება-დაბინავების საკითხებში საკრებულოსა და მერიის დიდი მხარდაჭერის იმედი მაქვს. თქვენთან ერთად შედგება ქართული კულტურის საერთაშორისო ზეიმი გურიაში, ოზურგეთის თეატრის განახლებულ შენობაში.

მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და განსაკუთრებით საკრებულოს აპარატს.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას როგორც საკრებულოში ასევე ამომრჩევლებთან.

შევსების თარიღი	08.02. 2021 წ.
წარდგენის თარიღი	08.02. 2021 წ.
ხელმოწერა	----------